

საქართველოს კანონი
„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998, გვ. 42) 23¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 23¹. მთავრობის უფლებამოსილებანი მთავრობის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება;

ბ) მთავრობის წევრებისთვის დავალებების მიცემა, მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მომზადებისა და მათი შესრულების მიზნით;

გ) ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და განხილვა, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება; საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა;

დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, მათი ოდენობების განსაზღვრისა და გაუქმების, ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების ორგანიზების შესახებ წინადადებების მომზადება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოსათვის წარსადგენად;

ე) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების ფლობა, განკარგვა და მისით სარგებლობა, ასევე საკუთრებისა და სარგებლობის უფლების მოპოვება;

ვ) მთავრობის რეგლამენტის, მასში ცვლილებების პროექტის შემუშავება და მერისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ზ) საქალაქო სამსახურების შექმნა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამეწარმეო, არასამეწარმეო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, აგრეთვე მათ დაფუძნებაში მონაწილეობა და მათში გაწევრიანება; სამეწარმეო იურიდიული პირის წილის (აქციების) შექმნა; ამხანაგობაში მონაწილეობა;

თ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მთავრობის მონაწილეობით შექმნილი სამეწარმეო, არასამეწარმეო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა დანიშვნა-გათავისუფლება და მათი საქმიანობის კონტროლი;

ი) მთავრობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ფინანსური სახსრების გადაცემა (მათ შორის შენატანის სახით);

კ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდების (დებულების) დამტკიცება, რომლითაც განისაზღვრება სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებები;

ლ) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს დასკვნის საფუძველზე საქართველოს მთავრობისათვის წინადადებების წარდგენა ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების ან მოხსნის თაობაზე;

მ) მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად კომისიების, საბჭოების და სხვა საკონსულტაციო ორგანოების შექმნა; მათი სამოქმედო დებულებების დამტკიცება;

ნ) დედაქალაქის შიდა სარგებლობის გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის ორგანიზება; საქალაქო არქივის შექმნა;

ო) კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საგზაო მოძრაობისა და მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

პ) დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) მოძრაობის მარშრუტის დადგენა და დამტკიცება;

ჟ) საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას დედაქალაქის ტერიტორიაზე შემომავალი ავტობუსებისათვის (M_2 და M_3 კატეგორიები) მოძრაობის მარშრუტის დადგენა და დამტკიცება;

რ) დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის (ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება, შეგროვება, ტრანსპორტირება, გამოყენება, გადამუშავება, სეპარაცია, გაუვნებლება და განთავსება) მომსახურების ორგანიზება;

ს) დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მიზნით ოპერატორის შერჩევის წესის განსაზღვრა;

ტ) დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, გარდა დასახლების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა, დამტკიცება საკრებულოს მიერ დადგენილი წესით;

უ) დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების, აგრეთვე მრავალბინიან სახლებში ბინების ნუმერაციის წესების დადგენა;

ფ) ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელება.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი